MES 9 21 0000467563

20/05/2021

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის23 აპრილს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting: https://us02web.zoom.us/j/87273009843?pwd=TkVVSUdmL0tJYktZbEx3Qm1ZeDE0UT09

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი, საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი, საბჭოს წევრი;
მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთი ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს - ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი:
თამარ გელიაშვილი - დირექტორი;
ნინო ბერძენიშვილი - ექსპერტ-კონსულტანტი;

შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“:
რაინდი ლომაია - დირექტორი;
ავთანდილ ჭანკვეტაძე - სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ლანა ბახტაძე - სასწავლო ნაწილი;
ნელი გურეშიძე - ადამიანური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელი.

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯი:
თეა ლილუაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

სსიპ - კოლეჯი „ლაკადა“:
თეანა ქუხილავა - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
თამარ მანია - ხარისხის მართვის მენეჯერი.

შპს ინტერბიზნესის აკადემია:
ნაზო წიბლიაშვილი - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
მანანა მოისწაფიშვილი - დირექტორი;
შოთა მარგიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:
ალინა კუპრავა
თეა ბარამაშვილი
ვახტანგ ბოგველიშვილი
ალექსანდრე კეკენაძე
მანანა მოისწრაფიშვილი
ტიტე ბოლქვაძე
ნაზო წიბლიაშვილი
ქეთევან ღვანიძე
ნანა შარაბიძე
ხათუნა მაისაია

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:08 საათი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და

აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, ოქმის წარმოება დაევალა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, შორენა ჯაფარიძეს.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი**:
1. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფოტოგრაფია“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ - კოლეჯი „ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
4. შპს - ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
5. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა
6. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა
7. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №187 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
8. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა
9. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით დღის წესრიგთან დაკავშირებით, რომ თანხმობის შემთხვევაში დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, წარმოედგინა სსიპ - კოლეჯი „აისის“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია.
საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა შუამდგომლობას.
ნანი დალაქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ 2020 წლის 26 ნოემბერს, საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნა „აისში“ ჩატარებული მონიტორინგის საკითხი, რომელიც ეხებოდა ავტომობილის შეკეთების პროგრამას, დარგის ექსპერტმა ბრძანა, რომ ყველანაირი აღჭურვილობა იყო შეძენილი, ხოლო სახელოსნოში არ იყო დასრულებული ამ აღჭურვილობის დამონტაჟება. ამდენად, მითითებულ სხდომაზე, საბჭომ გამოთქვა სურვილი, რაც ასევე ოქმშია

დაფიქსირებული, რომ ცენტრმა უზრუნველყოს დაწესებულების მხრიდან დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, როდესაც დასრულდება სახელოსნოების მშენებლობა და აღჭურვილობის მონტაჟი და საბჭოს მიეწოდოს მოკლე ანგარიში და ინფორმაცია. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე შუამდგომლობით მიმართა საბჭოს გონივრული ვადის განსაზღვრის თაობაზე, რომელიც იყო დაახლოებით 2021 წლის მარტის ბოლო. ცენტრმა დაწესებულებისგან გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია, რაც მიეწოდა საბჭოს ფოტომტკიცებულებების სახით, რომლითაც დასტურდება, რომ სახელოსნოში სრულად დამონტაჟებულია ის აღჭურვილობა, რომელიც იყო შეძენილი და დაწყობილი სახელოსნოში. სხდომაზე წარმოადგინეს ფოტომასალა, სადაც ჩანს, რომ აღჭურვილობა დამონტაჟებულია. საბჭოს წევრები გაეცნენ ფოტომასალას. საბჭომ ცნობად მიიღო აღნიშნული. საბჭოს თამჯდომარემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია საბჭომ აღჭურვილობა იხილოს დამონტაჟებული, მუშა მდგომარეობაში.
საბჭომ სხდომა გააგრძელა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის წარდგენით.

1. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწ ესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის გაწყვეტილებაში ცვლილების შეტანი ს შესახებ საკითხის განხილვა

ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 08 მაისის N 79 გადაწყვეტილების თანახმად, შპს ინტერბიზნესის აკადემია მილევად რეჟიმში ახორციელებდა პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, კოდი 090552. ადგილების ზღვრული რაოდენობა 61.
2020 წლის 15 ოქტომბერს აღნიშნული საგნობრივი პროგრამის კურსდამთავრებულებს მიენიჭათ პროფესიული კვალიფიკაცია, რითაც დასრულდა პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მილევად რეჟიმში განხორციელება.
დაწესებულება ითხოვს შუამდგომლობას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთან, პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ და შესაბამისად, დადგენილი წესით განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინფორმირებას, რათა დროულად მოხდეს ინფორმაციის სისტემაში ასახვა.
დაწესებულება ითხოვს აღნიშნული პროგრამის ამოღებას ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის N79 გადაწყვეტილებიდან. ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა საბჭოს სთხოვა აღნიშნული ცვლილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: განხორციელდეს ცვლილება შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი1).**

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ფოტოგრაფია“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს წინაშე მონიტირინგის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ქალბატონმა ალინა კუპრავამ და ქალბატონმა თეა ბარამაშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ალინა კუპრავამ განმარტა, რომ საქმისწარმოება განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის №163570 ბრძანებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის - „ფოტოგრაფიის“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტების ბ.ა), ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტების შესრულების შემოწმება, ასევე ცენტრის პროფესიული განათლების სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2021 წლის 8 თებერვლის N73881 და დაწესებულების 2021 წლის 8 თებერვლის N75982 არსებული გარემოებების შესწავლა და დასკვნაში ასახვა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ცენტრში 2021 წლის 27 იანვარს დაწესებულებამ წარმოადინა წერილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფოტოგრაფიის“ ჩარჩო დოკუმენტში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით. ცენტრმა, ავტორიზაციის დებულების 53-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, საჭიროდ მიიჩნია მონიტორინგის განხორციელება. დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2019 წლის მიღებაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს ათვისებული აქვთ იმ მოდულების უმეტესობა, რომელსაც შეეხო ცვლილებები, რის გამო დაწესებულებას მიზანშეწონილად მიაჩნია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ამ პროგრამის შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფოტოგრაფია“ განხორციელდეს 2019 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ხოლო ცვლილებებს აამოქმედებდა ახალი მიღებისათვის. 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ვალდებულია ცენტრს აცნობს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში“. ცენტრმა მოითხოვა

განმარტება დაწესებულებისგან, თუ რატომ არ მოხდა ცენტრის ინფორმირება შესაბამის ვადებში. დაწესებულებამ 2021 წლის 8 თებერვალს პასუხად გაუგზავნა კორესპონდენცია, სადაც აღნიშნა, რომ კოლეჯმა იხელმძღვანელა 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 53-ე მუხლით, რომელიც მათ მიერ განხორციელებული ცვლილების შემთხვევაში ითვალისწინებდა პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე 60 დღით ადრე ცენტრის ინფორმირების ვადას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სწორედ იმავე ვადაშივე უნდა მომხდარიყო პროგრამის შეცვლამდე არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა დატოვების ინფორმირებაც. ეს ვარაუდი ასევე გაუმყარათ ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულმა ინფორმირების ფორმებმა. კერძოდ, ცენტრის ინიციატივით, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში (ჩარჩო დოკუმენტი) განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ინფორმირების ფორმაში მოცემულია გრაფა - ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის მილევად რეჟიმში განხორციელების თაობაზე, რამაც საბოლოოდ დაარწმუნა დასახელებული ორი ინფორმაციის ერთდროულად 60 დღიან ვადაში ცენტრისთვის მიწოდების მართებულობაში. როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა დაწესებულებას ეს ორი განსხვავებული ვადები ერთმანეთში აერია. ინტერვიურების პროცესში, დაწესებულებამ დაადასტურა წერილში წარმოდგენილი ფაქტები და განმარტა, რომ კოლეჯის ქმედება მიზნად არ ისახავდა საკანონმდებლო რეგულაციის დაცვისგან თავის არიდებას, მით უფრო, რომ კოლეჯი ყოველთვის ახდენდა ცენტრის ინფორმირებას ნებისმიერ საკითხზე. ეს გაურკვევლობა გამოიწვია კოლეჯის გამოუცდელობამ აღნიშნულ ცვლილებებთან მიმართებით და ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმირების ფორმის არასწორად გაგებამ. ამ საკითხზე კოლეჯი მიიღებს შესაბამის ზომებს, რათა მომავალში გამოირიცხოს ცენტრისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმირების ვადების დარღვევა.

აღნიშნული საკითხის წარმოდგენის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა. მისი განმარტების თანახმად, რეკომენდაციები შეეხებოდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ რეკომენდაციები გათვალისწინებულია. ასევე, დაწესებულებას მიღებული ჰქონდა რეკომენდაცია ბიბლიოთეკის სივრცესთან დაკავშირებით, რომ ბიბლიოთეკა განთავსდეს ისეთ სივრცეში, რომელსაც ექნება დამოუკიდებელი შესასვლელი. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა აღნიშნული და დარწმუნდა, რომ ეს რეკომენდაციაც გათვალისწინებულია. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა ის ნორმატიული დოკუმენტები, სადაც ტექნიკური ხარვეზები ფიქსირდებოდა და როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, კოლეჯის მიერ დამტკიცებულ ახალ დოკუმენტებში ტექნიკური უზუსტობები გამოსწორებულია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე არის 24 აქტიური სტუდენტი და 2 სტატუსშეჩერებული სტუდენტი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნული ინფორმაცია გასაუბრების შედეგად მიიღო. ამის შემდეგ კი ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა პროგრამის შემუშავების და დაგეგმვის ნაწილზე. მან განმარტა, რომ დაწესებულებას 2018 წელს აქვს პროგრამის განხორციელებაზე ავტორიზაცია მიღებული, მას მერე, 2020 წლის 13 მაისის ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიცვალა ჩარჩო დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია, რომ აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტი ძალაში უნდა შესულიყო 6 თვის შემდეგ. დაწესებულებამ აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით განახორციელა პროგრამის ადაპტირება, დაიმატა ერთი მოდული. ამდენად, შეიცვალა პროგრამის კრედიტების რაოდენობა, ნაცვლად 43 კრედიტისა (73 კრედიტი არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის) პროგრამის მოცულობა გახდა 47 კრედიტი (77 კრედიტი არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის). დირექტორის მიერ დამტკიცებულ პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა, ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისთვისადაპტირებული

მოდულები, მატერიალური რესურსების შესახებ ინფორმაცია. ექსპერტთა ჯგუფმა დისტანციურად შეამოწმა A, B და C გარემოები, სადაც დაწესებულებას აქვს მრავალფუნქციური პავილიონი და ასევე ღია სივრცე. დაწესებულებას გააჩნია ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული პროგრამის მიზნებისთვის აუცილებელი რესურსები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დარგის ჩართულობით დადგინდა ამ რესურსების საკმარისობა, სტუდენტების ზღვრული რაოდენობის მიხედვით. ასევე, დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები „კიკალასტუდიოსთან“ და „ააიპ საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციასთან“ მოდულის „შესავალი პროფესიაში“ სასწავლო ექსკურსიების განხორციელების მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფოტოგრაფიის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა პროფესიულ მასწავლებლებზეც, რომელთა რაოდენობაც სულ არის 23, რომელთაგან დარგობრივ მოდულებზე 11 მასწავლებელია. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა სასწავლო გეგმა და მასწავლებლების დატვირთვა, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტაა, რომ მდგრადობა დაცულია. გარდა ამისა, დაწესებულებამ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენციების დადასტურების მიზნით წარმოადგინა ინფორმაცია მათ მიერ განვლილი ტრენინგების შესახებ, საიდანაც ჩანს რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები გარდა დაწესებულების გარეთ წარმართული ტრენინგებისა, ესწრებიან ასევე დაწესებულების შიგნით ჩატარებულ ტრენინგებსაც, რასაც ადასტურებს ასევე მათთან გასაუბრებაც. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ასევე ესაუბრა დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელს, დაწესებულებას ჰყავს დარგში 14 წლიანი გამოცდილების მქონე პირი.გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ის ჩართული იყო როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე ცვლილებების განხორციელების პროცესებში.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეამოწმა საგანმანათლებლო რესურსებიც. ფოტოგრაფიის პროგრამის მოდულების განხორციელებისთვის საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის განკუთვნილი კომპიუტერიდან, ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერებიდან და ბიბლიოთეკაში დაცული CD/DVD დისკებიდან, საგანმანათლებლო რესურსების მოხმარება დარეგულირებულია დოკუმენტით „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე ყურადღება გაამახვილა სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, რაც გამოჩნდა ონლაინ ჩართვის, რესურსების დისტანციურად დათვალიერების და გასაუბრებების შედეგადაც. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში გაფორმებული მემორანდუმები მოიცავს მხარეთა უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციას, დარგის ინსტრუქტორის გამოყოფას, სტუდენტთა მიღებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც აუცილებელია თანამშრომლობისათვის. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა შეფასების სისტემაზე, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების დადასტურებას. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა მარეგულირებელი დოკუმენტები, დაწესებულებას გაწერილი აქვს შეფასების ინსტრუმენტის მომზადების, შეთანხმების, გამოყენების და სხვა მნიშვნელოვანი ეტაპების, ასევე მტკიცებულებათა აღრიცხვისა და შენახვის წესები. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას განხორციელებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის და შეფასების პროცესის ვერიფიკაცია. დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციების ტანახმად, შეფასების შედეგები გამოიყენება პროფესიული სტუდენტების შემდგომი განვითარებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ფოტომასალა, სადაც წარმოჩენილი იყო A, B, C გარემოები.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე სწავლა მიმდინარეობდა, როდესაც გამოიკვეთა, რომ მოდული „თვითდასაქმება ფოტოგრაფიაში“, რომელიც პროგრამას დაემატა, აუცილებელი იყო კურსდამთავრებულთა თვითრეალიზაციის ხელშეწყობისათვის და პროგრამის უკეთესად განხორციელებისათვის. დარგის ექსპერტმა წარმოადგინა ინფორმაცია მოდულის შესახებ, თუ რა შეეძლება კურსდამთავრებულს. მოდულს მითითებული აქვს სასწავლო რესურსი, რომელიც დამაკმაყოფილებელია. მოდულის განმახორციელებელ პირთან გაფორმებულია ხელშეკრულება , რომელიც ამავდროულად არის პროგრამის ხელმძღვანელი. გასაუბრებით და დოკუმენტების გაცნობით დადგინდა, რომ მას აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავს კომპეტენტური განმახორციელებლები, ხოლო მატერიალურ და საბიბლიოთეკო სასწავლო რესურსს - შეესაბამება სწავლების შედეგებს. მატერიალური რესურსი, რომელიც ექსპერტებმა დაათვალიერეს დისტანციური ვიზიტის ფარგლებში უზრუნველყოფს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ექსპერტთა ჯგუფის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა განმარტება ვადებთან დაკავშირებით და დაადასტურა ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული გაურკვევლობა. დაწესებულებამ გაატარა შესაბამისი ღონისძიება, მსგავსი გაუგებრობის მომავალში თავიდან აცილების მიზნით. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები ინიცირებული იყო სტუდენტებისა და მასწავლებლების მხრიდან, რადგან სწორედ სასწავლო პროცესში გამოიკვეთა ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა პროგრამის ფარგლებში გაფორმებულ მემორანდუმებზეც, მან განმარტა, რომ დაწესებულება ცდილობს არ შემოიფარგლოს მხოლოდ ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგებით. დაწესებულებას ცართული ჰყავს პროფესიული სტუდენტები სხვა სახის ღონისძიებებში, რომლის ძალიან კარგი მაგალითია „კიკალა სტუდიოსთან“ თანამშრომლობა, რომლის ფარგლებში სტუდენტებს მოდის ფოტოგრაფიაში ჰქონდათ ოთხ დღიანი მასტერკლასი. თვითონ დაწესებულების ხელმძღვანელმა საკუთარი ინიციატივით შეარჩია 3 საუკეთესო სტუდენტი სტაჟირებისთვის, ხოლო საუკეთესო დავალების ავტორმა მიიღო ფოტოაპარატი საჩუქრად. მან ასევე აღნიშნა, რომ რადგან დარგი მუდმივად ვითარდება და პროფესიაში სიახლეები შემოდის, შესაძლოა მომავალში კიდევ გახდეს ცვლილებები საჭირო.

სხდომის თავჯდომარემ ცენტრის წარმომადგენლებს სთხოვა განემარტათ, თუ რატომ დაევალა ექსპერტთა ჯგუფს ვადებთან დაკავშირებული კორესპონდენციის განხილვა, რა მოლოდინი აქვთ საბჭოს მხრიდან, რაზეც ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ ცენტრის მხრიდან აღნიშნული არ შეფასებულა დარღვევად და არ დამდგარა საკითხი, რომ აღნიშნული მონიტორინგის შესწავლის ან შეფასების საგანი ყოფილიყო. ცენტრის მიზანი იყო ეს საკითხი მხოლოდ მსჯელობის საგანი ყოფილიყო, ყურადღების გამახვილების მიზნით. რამაც გამოკვეთა, რომ 53-ე მუხლის პირველი სამი პუნქტი დაზუსტებას საჭიროებს და ამ პუნქტების ურთიერთმიმართება ბუნდოვანია, რამაც შესაძლოა დაწესებულებები შეცდომაში შეიყვანოს. თუმცა, ეს საკითხი შესწავლა-შეფასების საგანი არ გამხდარა, ეს იყო მხოლოდ მსჯელობის საბაბი. საბჭოს შესაძლებლობა ექნება უახლოეს მომავალში გაეცნოს ავტორიზაციის დებულებაში ცვლილებებს, მათ შორის აღნიშნულ პუნქტებთან დაკავშირებითაც. ამდენად ეს იყო ყურადღების მიქცევის და შემდგომ დებულებაში ამ პუნქტების გამართვის და დაზუსტების საბაბი . სხდომამ აღნიშნული მიიღო ცნობად.

საბჭოს მხრიდან დამატებით გაჩნდა კითხვა, დაწესებულების მიმართ, გაწერილი პროცესებისა და შესაბამისი დოკუმენტების მიხედვით, ვინ არის პასუხისმგებელი ცენტრის ინფორმირებაზე, არის თუ არა აღნიშნული მკაფიოდ გაწერილი. ამ საკითზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას რეგულაციით აქვს გაწერილი, როგორც პროცედურულად, ისე სამუშაო აღწერაში და აღნიშნული ხარისხის მენეჯერის პასუხისმგელობაა.

საბჭოს წევრმა დაწესებულების წარმომადგენელს ასევე სთხოვა განემარტა, დამატებითი აქტივობები, მაგალითად მასტერკლასები „კოკალა სტუდიოში“, , პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული საათების ხარჯზე კეთდება თუ დაწესებულებას აქვს ამისთვის დამატებითი საათები გამოყოფილი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დამატებითი აქტივობები არ ხორციელდება პროგრამისათვის განსაზღვრულ საათებში, როგოც წესი, მათი განხორციელება ძირითადად არდადეგების პერიოდში ხდება, როდესაც სტუდენტები სასწავლო პროცესისაგან თავისუფლები არიან და სტუდენტების სურვილის შემთხვევაში.
თავმჯდომარის თანხმობით საკითხის განხილვაში ჩაერთო ცენტრის დირექტორის მოადგილე, რის საშუალებასაც იძლევა ავტორიზაციის დებულების 42-ე მუხლის მე-7 პუნქტი. ცენტრის დირექტორის მოადგილემ სამი დამაზუსტებელი შეკითხვა დასვა. პირველი შეკითხვა ეხებოდა პროგრამის ხელმძღვანელს. ექსპერტის პრეზენტაციაში, ნარატივში ეწერა, რომ “ფოტოგრაფიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს დარგში მუშაობის 14 წლიანი გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ჩართულია პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში“. პროგრამის შემუშავება-განხორციელებაში მონაწილეობს რიგითი მასწავლებელიც, ამგვარად ექსპერტი დაინტერესდა თუ არა სხვა დეტალებით, სხვა ფუნქციები თუ აკისრია ხელმძღვანელს, რის გამოც ხელმძღვანელია და არა რიგითი მასწავლებელი. რით დაინახა ექსპერტმა ამ ადამიანის ხელმძღვანელობითი ფუნქცია, რადგან აღნიშნული არ ჩანდა პრეზენტაციაში.
მეორე შეკითხვა ეხებოდა საგანმანათლებლო რესურსს. საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც მითითებულია პროგრამაში, გამოიყენება სასწავლო პროცესში. აღნიშნული პროგრამა საინტერესოა, რადგან ერთ-ერთი პირველი პროგრამაა, რომლის მონიტორინგიც მოხდა უკვე განხორციელების ფაზაში. რადგან აქ უკვე არსებობს პრაქტიკა, ჩნდება დამატებითი კითხვები. სტანდარტის მიხედვით, საგანმანათლებლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. ექსპერტის აღწერის მიხედვით, ბიბლიოთეკაში ეს ყველაფერი არსებობს და არსებობს ბიბლიოთეკის წესი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. დაინტერესდა თუ არა ექსპერტი, ეს ის არის რასაც სასწავლო პროცესში იყენებენ, თუ მოდულში რომ წერია და ბიბლიოთეკაში დევს, ამით ამოიწურა სტანდარტთან შესაბამისობა. ასევე, პანდემიის პერიოდში როგორ იყო სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი.
მესამე შეკითხვა შეეხებოდა განმავითარებელ რეკომენდაციას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა სრულ შესაბამისობაშია, როგორც ექსპერტმა ვერაფერი დაინახა, რომ განმავითარებელი რეკომენდაცია მიეცა დაწესებულებისათვის შესაბამის სტანდარტებთან მიმართებაში.
აღნიშნულ საკითხებზე ექსპერტმა შემდეგი განმარტება გააკეთა. პირველ საკითხზე მან განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია და მისი ფუნქციაა იზრუნოს პროგრამის სწორად განხორციელების კოორდინაციაზე, ასევე მის განვითარებაზე, მასწავლებლებისათვის კონსულტაციების გაწევაზე, დაინახოს რა მიმართულებით არის საჭირო პროგრამის განვითარება, დააზუსტოს მასწავლებლების საჭიროებები. საგანმანათლებლო რესურსების საკითზე, ექსპერტმა განმარტა, რომ სტუდენტებისათვის შექმნილია ერთიანი საკომუნიკაციო სისტემა, სადაც განთავსებულია სასწავლო რესურსები ელექტრონული სახით, რათა პანდემიის პერიოდში სტუდენტებისთვის რესურსები შეუფერხებლად იყოს ხელმისაწვდომი. წიგნების უმეტესი ნაწილი დაწესებულებას ელექტრონული სახით აქვს. აღნიშნულ საკითზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იყენებენ პროგრამას Teams. სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფებში არიან გაწევრიანებული და ყველა ძირითადი სავალდებულო ლიტერატურა ელექტრონული სახით არსებობს. დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე პროგრამის ხელმძღვანელზე. მან აღნიშნა, რომ მის ფუნქციებში ასევე შედის სასწავლო რესურსების შეფასება სწავლის შედეგებთან მიმართებაში, ასევე მატერიალური რესურსის შეფასება. საერთო ჯამში, პირველი ეტაპის

დასრულების შემდეგ სწავლის შედეგებთან მიმართებაში შეფასდა ის რესურსი, რომელიც დაწესებულებას გააჩნია. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა იმაზე მეტი რესურსი, რაც ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით იყო მოთხოვილი. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას აქვს სხვა პროფილური მიმართულებებიც, აღმოჩნდა ისეთი თანამედროვე აღჭურვილობების ქონის საჭიროება. აღნიშნულია ახალ ტექნოლოგიებს და ტექნიკებს გააცნობდა სტუდენტებს. ჩარჩო დოკუმენტის ინიცირებისას მატერიალური რესურსის ნაწილშიც მოხდა ამ ტიპის ინიცირებაც, ანუ განახლდა მატერიალური რესურსის ჩამონათვალი ტექნოლოგიების თვალსაზრისით.
სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა, გაფორმებულია თუ არა შესაბამისი ხელშეკრულება პროგრამის ხელმძღვანელთან. ექსპერტმა განმარტა, რომ ხელშეკრულება პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციასთან დაკავშირებით გაფორმებულია.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფოტოგრაფია“ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტაციურლი წარმოების შეწყვეტის და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №135 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -„ფოტოგრაფია“ მონიტორინგთან დაკავშირებით და შევიდეს ცვლილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №135 გადაწყვეტილებაში **(დანართი 2).**

3. სსიპ - კოლეჯი „ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე მონიტირინგის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ვახტანგ ბოგველიშვილმა და ალექსანდრე კეკენაძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ვახტანგ ბოგველიშვილმა განმარტა, რომ სსიპ კოლეჯი „ლაკადასთვის“ ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 3 აგვისტოს №656185 გადაწყვეტილების შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიულ სტუდენტთა ოდენობა განისაზღვრა 30 პროფესიული სტუდენტით, მათ შორის 15 ინტეგრირებული სწავლებისთვის. მიმდინარე წლის მარტში, კოლეჯმა წერილით მიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომ დაწესებულებას აქვს სურვილი ინტეგრირებული სწავლებისათვის სტუდენტების ოდენობა განესაზღვროს 30 სტუდენტით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა, განეხორციელებინა დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, სადაც შეამოწმებდნენ სხვადასხვა სტანდარტის კომპონენტების შესაბამისობას. ამ მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ჩართვა, გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, განიხილეს გამოგზავნილი დოკუმენტაცია და ადგილზე დაათვალიერეს პროგრამის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საფუძვლად იყენებს მოდულის განხორციელებისათვის საჭირო გარემოს პარამეტრს, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსს. დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ამ პროგრამის განხორციელებისთვის შესაბამისი A, B, C გარემო შესაბამისი აღჭურვილობით. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის არის ლაბორატორია, რომელიც გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე, შესაბამისად 2 ცვლაში 30 პროფესიულ სტუდენტზე იქნება გათვალისწინებული. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების სურვილი განპირობებელია მაღალი ინტერესით სტუდენტთა მხრიდან. ექსპერტები გაეცნენ სასწავლო გეგმას, ამ კუთხით ცვლილებები არ ყოფილა. ცვლილებები არ შეხებია პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობას. დაწესებულებამ დაიმატა კიდევ ერთი A გარემო. ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში აღნიშული პროგრამის გარდა ხორციელდება მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობა“, რომელშიც ასევე ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. იქაც 15 პროფესიული სტუდენტია გათვალისწინებული ინტეგრირებული სწავლებისთვის. ექსპერტთა მთავარი შეკითხვები აქედან მომდინარეობდა, რამდენად საკმარისი იქნებოდა არსებული გარემოს გამტარუნარიანობა, უფრო კონკრეტულად კი ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის გამოყოფილი ლაბორატორიების გამტარუნარიანობა. დაწესებულების განმარტების მიხედვით, ისინი გამოიყენებენ შეჭრილ ცხრილებს გამტარუნარიანობის უზრუნველსაყოფად და შესაბამისად, მტკიცებულების სახით წარმოადგინეს ცხრილი. ექსპერტთა განმარტების მიხედვით, არსებული მოცემულობა იძლევა სწავლის შეუფერხებლად განხორციელების შესაძლებლობას. დაწესებულებამ სრულად წამოადგინა პროგრამისათვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია, ხოლო მათი ადგილზე არსებობა დადასტურდა ჩართვისას, კომპიუტერების მახასიათებლები სრულად შეესაბამება მოცემულ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე პოზიცია წარმოადგინა დაწესებულების წარმომადგენელმაც. მან განმარტა, რომ დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, აუცილებელია ინტეგრირებულ პროგრამაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რადგან იზრდება მიმართვიანობა და ინტერესი აღნიშნული პროგრამის მიმართ. დაწესებულებამ სათანადოდ დაადასტურა ამის შესაძლებლობა და მხარდაჭერის შემთხვევაში დაწესებულება გაუმკლავდება იმ გამოწვევებს და მოთხოვნებს, რომელიც არსებობს ინტეგრირებული პროგრამების მიმართ. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტების მიხედვით, ამის საფუძველს იძლევა ის სასწავლო პროცესი, რომელიც აღნიშნულ პროგრამაზე მიმდინარეობს, თუმცა ამ ეტაპისთვის პროგრამაზე ირიცხება

9 სტუდენტი, რადგან შემჭიდროვებულ ვადებში მოუწიათ სტუდენტების მიღება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მუშაობენ ამ მიმართულებით და ფიქრობენ, ინტეგრირებულ პროგრამებს წარმატებით განახორციელებენ.
დაწესებულების განმარტება სტუდენტთა მიღების ვადებთან დაკავშირებით დაადასტურა ცენტრის წარმომადგენელმაც, ხოლო წლევანდელი მოქნილი განრიგი და მთელი წლის მუშაობა, საშუალებას მისცემს დაწესებულებებს მიიღონ მეტი სტუდენტი.
საბჭოს წევრებმა ექსპერტებს სთხოვეს განემარტათ, რამდენად დამაჯერებელი იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გაზრდილი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები და შეძლებს თუ არა დაწესებულება კვოტის შევსებას. რა ტიპის კვლევები ჩატარდა და რამდენად დამაჯერებელი იყო მათი შედეგები. აღნიშნულ საკითხზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კონკურსის დასრულების შემდეგ ჰყავდათ ბევრი მსურველი, თუმცა რადგან ვადები ამოწურული იყო, მეტი სტუდენტი ვეღარ მიიღეს, რაც როგორც აღნიშნეს შემჭიდროვებული ვადებით იყო გამოწვეული. ამავე საკითხზე დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ რადგან ინტეგრირებული პროგრამები სიახლე იყო ყველასთვის, ინფორმირებულობის მაჩვენებელიც არ იყო მაღალი, შესაბამისად პირველ მიღებაზე დაბალი მაჩვენებელი არ ნიშნავს, რომ შემდეგ მიღებაზეც იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდება დაწესებულება. რადგანაც დაწესებულება რეგიონში მდებარეობს და რეგიონში ამ პროფესიის მქონე კადრების დეფიციტია, აღნიშნულ პროგრამაზე მოთხოვნის ზრდა სრულიად ლოგიკური და მოსალოდნელია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ წარუდგენია დოკუმენტის სახით აღნიშნული საკითხის დამადასტურებელი მტკიცებულებები და ექსპერტებმა კვოტის გაზრდის დასაბუთება მოისმინეს ზეპირსიტყვიერად, რაც მოიაზრებდა გაზრდილ მომართვიანობას, ექსპერტები ეთანხმებიან კოლეჯის მოთხოვნას, გაიზარდოს ინტეგრირებულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტაციურლი წარმოების შეწყვეტის და სსიპ - კოლეჯი „ლაკადასთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 3 აგვისტოს №656185 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯი „ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ მონიტორინგთან დაკავშირებით და შევიდეს ცვლილება სსიპ - კოლეჯი „ლაკადასთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 3 აგვისტოს №656185 გადაწყვეტილებაში **(დანართი 3)**.

4. შპს - ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს წინაშე მონიტირინგის შესახებ საკითხი წარმოადგინეს მანანა მოისწრაფიშვილმა და ტიტე ბოლქვაძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა მანანა მოისწაფიშვილმა განმარტა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 11 მარტის №215077 ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 24 მარტს განხორციელდა დისტანციური ვიზიტი კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე) შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით, რომლის ფარგლებში მოხდა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტის ე.ა) კომპონენტის შესრულების შემოწმება. აღნიშნული მონიტორინგის დანიშვნა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვის დროს 2020 წლის 19 ოქტომბრის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოზე წარმოიშვა საკითხი შენობის ხანძარსაწინააღმდეგო შეუსაბამობის შესახებ, თუმცა ექსპერტთა მიერ აღნიშნულის თაობაზე რეკომენდაცია არ იყო გაცემული. ექსპერტთა დასკვნაში იყო მითითებული დაწესებულებას ორჯერ ჰქონდა მიწერილი შესაბამისი სამსახურისთვის, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, 2020 წლის 28 ივლისს და 2020 წლის 2 სექტემბერს. დასტურდებოდა, რომ განხორციელდა აღნიშნული სამსახურის მიერ დაწესებულების ტექნიკური შემოწმება. შედგა ტექნიკური აქტები შენობის ხანძარსაწინააღმდეგო შეუსაბამობის შესახებ და შეუსაბამობის აღმოფხვრის გეგმა. თუმცა, ვინაიდან, დასკვნაში არსებობდა ჩანაწერი, რომ შენობა არის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობასთან შეუსაბამო, საბჭომ იშუამდგომლა ცენტრის წინაშე კოლეჯიდან და შესაბამისი კომპეტენციის ორგანოდან დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვით ყოფილიყო საკითხი დეტალურად შესწავლილი და შემდეგ საბჭოზე წარდგენილი. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი განხილული იქნა 2020 წლის 18 დეკემბრის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, რომელზეც ცენტრმა წარმოადგინა მოკვლევის შედეგები, კერძოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პოზიცია, რომლის მიხედვითაც, კოლეჯის უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მიწერილობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების შესრულება, მათ შორის, მეორე საევაკუაციო გასასვლელის მოწყობა, რაც სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით წარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ და მნიშვნელოვან ღონისძიებას. ზემოთაღნიშნული გარემოებების შესწავლის მიზნით ჩანიშნული მონიტორინგის დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან, კოლეჯის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაციის განხილვა, ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ფლობის, მისი მართვისა და

ინვენტარიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და მატერიალური რესურსების შეფასების შედეგებისა და განვითარების გეგმის გადამოწმება, დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება, ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსების პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის გადამოწმება, დაწესებულების მიერ უსაფრთხოების, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის, საგანგებო სიტუაციების მართვის და წესრიგის დაცვის მექანიზმების გადამოწმება. აღსანიშნავია, რომ შპს ავიცენას საერთაშორისო კოლეჯის მონიტორინგის ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ 5.1. კომპონენტის მოთხოვნა სრულ შესაბამისობაშიამოყვანილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში არ გაცემულა რეკომენდაციები და არ დაფიქსირებულა ხარვეზები, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფსაც არ გაუმახვილებია ყურადღება. დაწესებულებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 40, ხოლო აქტიური პროფესიული სტუდენტი ამ პროგრამაზე დაწესებულებას არ ჰყავს. ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა 5.1.2.1 კომპონენტი. შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილების შეფასების მიზნით დაწესებულებამ 24.07.2020 წელს და 31.08.2020 წელს მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, რომლის 28.07.2020 და 04.09.2020 კორესპონდენციებით დასტურდება, რომ განხორციელდა დაწესებულების სახანძრო-ტექნიკური შემოწმება რის საფუძველზეც 2020 წლის 15 ოქტომბერს დაწესებულებაზე გაიცა მიწერილობა №1027 სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე და დაწესებულებას მიეცა 4 სახის რეკომენდაცია მათი აღმოფხვრის ვადების მითითებით. კერძოდ:

1. ადამიანთა უსაფრთხო ევაკუაციის უზრუნველსაყოფად, მოეწყოს სასწავლებლის სართულიდან მეორე საევაკუაციო გასასვლელი (შესრულების ვადა 09/09/2021). დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება მეორე საევაკუაციო გასასვლელის მოწყობის თაობაზე, ასევე შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტების მიხედვით, აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია.
2. უზრუნველყოფილ იქნას კიბის უჯრედში გასასვლელი კარების გაღების შესაძლებლობა შენობიდან გასვლის მიმართულებით (შესრულების ვადა 09/03/2021). წარმოდგენილია ხელშეკრულება გასასვლელი კარების გაღების მიმართულების შეცვლის თაობაზე, ასევე შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.
3. გადაიმუხტოს ობიექტზე არსებული ცეცხლმაქრები (შესრულების ვადა 09/04/2021 წარმოდგენილია ცეცხლმაქრების დამუხტვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე სამუშაოების შესრულების აქტი. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.
4. ობიექტის თანამშრომლებს ჩაუტარდეთ სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება (შესრულების ვადა 09/04/2021. ამ მიზნით, დაწესებულებამ დამატებით მოიწვია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და მთელ პერსონალს ჩაუტარდა სწავლება თემაზე „სახანძრო უსაფრთხოების წესები და პროცედურები; საევაკუაციო გეგმის პროცედურები.“ დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან აღნიშნული სწავლების ჩატარების თაობაზე, ტრენერის სერტიფიკატი, შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი და ფოტომასალა. მეოთხე რეკომენდაციაც შესრულებულია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტების მიხედვით, დაწესებულებას სრულ ფართში დაცული აქვს უსაფრთხოების ზომები და რეკომენდაციების შესრულება დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში, დისტანციური დათვალიერებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარემ საბჭოს წარუდგინა ფოტომასალა, სადაც ჩანს მოწყობილი საბიბლიოთეკო სივრცე, A ტიპის

გარემო, დამატებითი გასასვლელი სახანძრო სტენდით, გასასვლელების აღმნიშვნელები, დაკვამლიანების დეტექტორები, უსაფრთხოების მაკონტროლებელი პირი, მთავარი საევაკუაციო გასასვლელი და დამატებითი გასასვლელი.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები დოკუმენტურად დასტურდება, რომ შესრულებულია. აღნიშნული დადასტურდა ვიზიტის ფარგლებშიც. დაწესებულებამ წარმოადგინა ტრენინგის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტომასალა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ტრენერის პირადი საქმე. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც შეეძლო აღნიშნული ტრენინგის ჩატარება, დაწესებულებამ დამატებით მოიწვია სპეციალისტი. შესაბამისად, ეს რეკომენდაციაც შესრულებულია.
დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნას.
საბჭოს წევრებმა სთხოვეს ექსპერტებს განემარტათ დაწესებულებას ფართი იჯარით აქვს აღებული თუ საკუთრებაში აქვს, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას 3 ფართი აქვს, რაც საჯარო რეესტრშიც არის დარეგისტრირებული. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა სამივე ფართი დაათვალიერა. გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში დაწესებულებას შემოსავალი არ უფიქსირდება, საბჭოს წევრებმა ითხოვეს განმარტება, თუ როგორ იხდიან იჯარას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ხარჯების გაღება ხდება დამფუძნებლის მხრიდან. დამფუძნებლების მხრიდან ხორციელდება ინვესტიციები, რადგან სამომავლო გეგმები განსაზღვრული აქვთ შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე მხოლოდ ძირითადი, სავალდებულო პოზიციები აქვს შევსებული, გამომდინარე აქედან, ამ ეტაპზე დაახლოებით 10 თანამშრომელი ჰყავთ.
საბჭოს წევრებმა დარგის ექსპერტს ასევე სთხოვეს განემარტა, დამატებითი საევაკუაციო გასასვლელთან დაკავშირებული რეკომენდაცია და კიბის უჯრედის კარებთან გაცემული რეკომენდაცია რეალურად ერთი და იმავე გასასვლელს ეხებოდა თუ არა, ასევე თუ საევაკუაციო გასასვლელი არ არსებობდა როგორ ხდება მისი დამატება. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ გაჭრა მეორე კარი, საევაკუაციო გასასვლელის შექმნის მიზნით და გაუკეთა ეზოში გასასვლელი კიბეები. ხოლო დაწესებულებაში შემოსვლისას კარი იღებოდა შიგნით, რაც არ უზრუნველყოფდა სახანძრო უსაფრთხოებას. საბჭოს წევრებმა ასევე ითხოვეს განმარტება იმის თაობაზე, არსებობს თუ არა ცეცხლმაქრის გადამუხტვის ინსტრუქცია და როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება აღნიშნულის კონტროლს. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მათ გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება შესაბამის ავტორიზებულ სამსახურთან, რომელმაც უზრუნველყო ცეცხლმაქრების და სხვა აღჭურვილობის მონტაჟი შენობაში. დაწესებულება რეგულარულად თანამშრომლობს აღნიშნულ ორგანიზაციასთან სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს - ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შეწყდეს ადმინისტარციული წარმოება შპს - ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მონიტორინგთან დაკავშირებით.

5. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -„სკოლამდელი აღზრდა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს წინაშე საკითხი წარმოადგინეს ნაზო წიბლიაშვილმა და ქეთევან ღვანიძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა ნაზო წიბლიაშვილმა განმარტა, რომ ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდის“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება ქალაქ თბილისის ლოკაციაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით დაწესებულებას გამოგზავნილი ჰქონდა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, ამონაწერები საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებიდან, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება, საგანმანათლებლო პროგრამის დანართებით: მოდულები, სასწავლო გეგმა, განმახორციელებელი პირები, პროგრამის მატერიალური რესურსი, ასევე ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან. შესაბამისობის დადგენის მიზნით დაწესებულებიდან დამატებით გამოითხოვეს პროგრამისათვის განკუთვნილი მატერიალური რესურსის და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის, პროგრამის ხელმძღვანელის დარგობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული დოკუმენტაცია და 2021 წლის 16 მარტს განხორციელდა დისტანციური ჩართვა დაწესებულებასთან. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დირექტორს, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, სასწავლო ნაწილს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, ბიბლიოთეკარს და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს. განხილული იყო წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერეს სასწავლო გარემოები, მატერიალური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, კოლეჯის ინფრასტრუქტურა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე აღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა სრულ შესაბამისობაში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული იყო ორი რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაციის მიხედვით, სამოქმედო გეგმაში უნდა გაწერილიყო განსახორციელებელი აქტივობები და ამ აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო რესურსები. აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა და დირექტორის ბრძანებით სამოქმედო გეგმაში შეტანილია ცვლილება, კონკრეტულად კი, დამატებულია ფინანსური მხარდაჭერის გრაფა და განსაზღვრულია სავარაუდო ხარჯები. მეორე რეკომენდაცია შეეხებოდა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხს. კონკრეტულად კი, დაწესებულების პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების შესახებ დებულებაში გამოყენებული იყო ტერმინი „პედაგოგი“, რეკომენდაცია კი გულისხმობდა პროფესიული განათლებისთვის შესაბამისი ტერმინის „პროფესიული განათლების მასწავლებლის“

გამოყენებას. შესაბამისად, დოკუმენტში შევიდა ცვლილება და აღნიშნული გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ამის შემდეგ განიხილა მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია შეეხებოდა დაწესებულების მისიას. ექსპერტთა ჯგუფმა ნახა ორი განსხვავებული მისია. ერთი დოკუმენტი განთავსებული იყო ვებგვერდზე, ხოლო განსხვავებული მისია ჩადებული იყო წესდებაში. გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულებას წესდება აქვს შესაცვლელი, რადგან მასში ძველი მისია იყო მოცემული. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შესაბამისი რეკომენდაცია იყო მათ მიერ გაცემული. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებამ რეკომენდაცია უკვე გაითვალისწინა და შესაბამისი ხარვეზი გასწორებულია, რაც დაწესებულებამ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენით დაადასტურა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა ასევე პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობაზე. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი აქვს მოცემული პროგრამის დამატება. მიზანშეწონილობის დასაბუთებისას დაწესებულება დაეყრდნო გამოცდილებას, რადგან ახორციელებდნენ ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის საგანმანათლებლო პროგრამას. დაწესებულებას ჰყავდა პროფესიული მასწავლებლები, რომელთაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება სწავლების და შეფასების მიმართულებით, ასევე ჰყავდათ პარტნიორები. პარტნიორებთან შემდგომი კონსულტაციითა და აპლიკანტთა მომართვიანობის გაანალიზებით, დაწესებულებამ გადაწყვიტა პროგრამის დამატება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაწერილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის გაწერის პროცედურა მარეგულირებელი დოკუმენტით. დებულებაში აღნიშნული ყველა პირობა დაცულია, შეიქმნა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ, როგორც ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, ასევე განმახორციელებელი და ადმინისტრაციის პერსონალი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამა დასამტკიცებლად წარუდგინა დირექტორს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად არის განსაზღვრული, მოცემულ პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულებამ გაითვალისწინა A და B გარემოსა და პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობა, შესაბამისად პროგრამისათვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ერთი A გარემო, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით 34 პროფესიულ სტუდენტზე - წარმოდგენილია მაგიდა, სკამები, კომპიუტერი, დაფა, კომბაინი, ფლიპჩარტი და პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი. აღნიშნულ პროგრამაზე დაწესებულებას სურს მიიღოს 68 სტუდენტი ორ წელიწადში, 2 ცვლის გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროგრამისთვის გამოყოფილი აქვს ორი B გარემო, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით 17 პროფესიულ სტუდენტზე. პროფესიული სტუდენტები გაიყოფიან 2 ჯგუფად, ვინაიდან B გარემოში ტარდება მხოლოდ ერთ მოდული. ექსპერტის განმარტების მიხედვით, აღნიშნულის განხორციელების დაგეგმვა შესაძლებელია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს თან ერთვოდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისობაშია და უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას კარგად აქვს რესურსები გაწერილი და სათითაოდ აქვს მითითებული, რომელი რესურსია მატერიალური სახით და რომელი - ელექტრონული. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითად გადამოწმდა მოდულებიდან საგანმანათლებლო მასალა, რომელიც დაწესებულებას ჰქონდა წარმოდგენილი და საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული. ელექტრონული სახით არსებული ლიტერატურა ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში განთავსებულ ყველა კომპიუტერში, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. არსებობს ლიტერატურის ელექტრონული ბაზა, ხოლო მომავალში იგეგმება დარჩენილი ლიტერატურის გაციფრულება სტუდენტებისათვის

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, რათა დისტანციური სწავლების პირობებში სტუდენტებს არ შეექმნათ პრობლემა. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველ მოდულს. დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებთან. პრაქტიკის ობიექტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი მზად არიან მიიღონ 17-17 პროფესიული სტუდენტი, რომლებიც მონაცვლეობით გადანაწილდებიან ბაგა-ბაღის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 5 ზოგადი და 5 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი. პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირეულ 40 საათს და გარდა სალექციო კურსის წარმართვისა, მოიცავს კალენდარული გეგმის და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, საკონსულტაციო დროს, კოლეჯის მართვაში მონაწილეობას. დაწესებულებას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით განსაზღვრული აქვს პროფესიული მასწავლებლის მიღების წესი და პირობები, სადაც დადგენილია მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ძველი პერსონალი, რომელიც ჩართული იყო ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, შესაბამისად, მათ გააჩნიათ მოდულური სწავლების და შეფასების გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ გასაუბრებისა და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დაწესებულებას ჰყავს კვალიფიციური და შესაბამისი გამოცდილების მქონდეს პროფესიული მასწავლებლები. მან ასევე აღნიშნა, რომ ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები, რომელთაგან ერთ-ერთი მოვალეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში (ვერიფიკაცია, ვალიდაცია) მონაწილეობა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ინსტრუქტაჟში ჩართვაა. ასევე, პროგრამას ჰყავს დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელი. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობს მზაობა სსსმ პირებს ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება მათი მოთხოვნილების შესაბამისად. დაწესებულება არის ადაპტირებული, აქვს სპეციალური პანდუსი და ლიფტი და შესაბამისად მოწყობილი სველი წერტილები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ დაწესებულებამ წარმოადინა საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც კარგადაა გაწერილი, მისი ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი 19 პროფესიული სტუდენტით. ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, შემოსავლების ნაწილი მოიცავს სწავლის გადასახადს და საორგანიზაციო მოსაკრებელს, ხოლო ხარჯების ნაწილი მოიაზრებს ძირითადად პროგრამულ ხარჯს, რომელშიც შედის ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლების ხელფასი, სამეურნეო, საკანცელარიო, კომუნალური, სარეკლამო, მივლინების, სტუდენტების კულტურული ცხოვრების ხელშეწყობის, პროფესიული მასწავლებლისა და ადმინისტრაციის განვითარების, კოლეჯის განვითარების, მასწავლებელთა და სტუდენტების წახალისების, სასწავლო პროცესის მასალებისა და სხვა ხარჯები, ასევე იჯარა და წონების გადასახადი. დაწესებულებას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტით გაწერილი აქვს ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცედურები, ხოლო პროდუქტი რომელიც შეიქმნება სტუდენტების მიერ ინახება შექმნიდან 5 წლის განმავლობაში. ხოლო შემდეგ, არსებული წესით უბრუნდება ან გადაეცემა ბიბლიოთეკას გამოსაყენებლად.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოების ფარგლებში ყურადღება გაამახვილა ადამიანურ რესურსსა და პარტნიორ ორგანიზაციებზე, რომლებიც მზაობას გამოხატავენ. მან აღნიშნა, რომ

იქიდან გამომდინარე, რომ მათ ჰქონდათ გამოცდილება, კადრები არიან კომპეტენტურები და კვალიფიციურები. პარტნიორ ორგანიზაციებში სტუდენტებს საშუალება ექნებათ გადანაწილდნენ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში და შეისწავლონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სკოლამდელი აღზრდა“ დამატების შესახებ ქალაქ თბილისში.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონს“ მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამა ქალაქ თბილისში **(დანართი 4)**.

6. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „საექთნო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესა ხებ საკითხის განხილვა

საბჭოს წინაშე საკითხი წარმოადგინეს ნანა შარაბიძემ და ხათუნა მაისაიამ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა ნანა შარაბიძემ განმარტა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება ქალაქ ქუთაისის ლოკაციაზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ დაიმატა 2019 წლის სექტემბერში საგანმანათლებლო პროგრამებთან „აღმზრდელი“ და „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ერთად. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია შეეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამების „ქართული ენის“ მოდულების შესაბამისობაში მოყვანას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 01/11/2017წ №695 ბრძანებასთან. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია. ასევე აღნიშნა, რომ სხვა რეკომენდაცია წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული არ ყოფილა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა დაწესებულების განაცხადზე. მან აღნიშნა, რომ ქუთაისის ლოკაციისთვის დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 78, ხოლო დაწესებულება ითხოვს გაიზარდოს პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა 138-ით. სტუდენტების ადგილების რაოდენობა ჯამში იქნება 216, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა დისტანციულად შეამოწმა საგანმანათლებლო სივრცე და მატერიალური აღჭურვილობა. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა

შესაბამისობა სტანდარტებთან. პროგრამისათვის დაწესებულებას აქვს 2 A/C აუდიტორია, რომელთანაც ერთი გათვლილია 48 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო მეორე 24 პროფესიულ სტუდენტზე. ასევე B აუდიტორია, რომელიც განკუთვნილია ინფორმაციული წიგნიერებისთვის, გათვლილია 18 პროფესიულ სტუდენტზე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ორივე A/C გარემო მოეწყო საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით, კოლეჯის მფლობელობაში არსებული დამატებითი თავისუფალი სივრცის გარემონტების ხარჯზე. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სს „ევექსის ჰოსპიტლებთან“, ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდ საქართველოს კარიტასთან და შპს ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან. დაწესებულებამ აღნიშნულ დაწესებულებებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში კვოტის გაზრდის მიზნით დამატებითი შეთანხმებები შეიტანა, რომლის მიხედვითაც სს „ევექსის ჰოსპიტალები“ უზრუნველყოფს 144 პროფესიული სტუდენტის მიღებას, ხოლო შპს ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი 72 პროფესიული სტუდენტის მიღებას, ეტაპობრივად, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კარიტასთან გაფორმებული ხელშეკრულება არ შეცვლილა, თუმცა კარიტასში განსახორციელებელ კომპონენტებს „ავადმყოფის მოვლა“ და „შინმოვლა“ დაწესებულება თავისი შესაძლებლობებითაც ახორციელებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ადამიანური რესურსი შესაბამისობაშია - პროფესიული განათლების მასწავლებელთა სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, მათი რაოდენობა და დატვირთვა.. დაწესებულებას ჰყავს 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 5 პრაქტიკული კომპონენტის და 20 თეორიული მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2 თანამშრომელი გადამზადდა ინოვაციური განათლების ცენტრის პროგრამით - კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში. აღნიშნული თანამშრომლები კი უკვე კოლეჯის მოდულის განმახორციელებლების გადამზადებას ახორციელებენ. დაწესებულებას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელს. პირდ საქმეში წარმოდგენილია მისი დარგობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დანიშვნის ბრძანება, გაფორმებული ხელშეკრულება ფუნქციების მითითებით. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის განმარტებით აღნიშნული შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. საგანმანათლებლო რესურსები, რომელიც წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში, შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს და ასევე ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებას არ ჰყავს არც ერთი სსსმ პირი, მათი დახმარება უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით. დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ სს „ევექსის ჰოსპიტალების“ წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ორგანიზაცია უზრუნველყოფს სწავლის ყველა შედეგის მიღწევის შესაძლებლობას. კოლეჯის სტუდენტებს შეუძლიათ გაიარონ და ის ათივე შედეგი დაადასტურონ, რომელიც მოდულითაა გათვალისწინებული. გასაუბრებისას ასევე დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელსაც სწავლის პროცესში იყენებენ.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ქუთაისის ლოკაციაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონს“ დანართით განსაზღვრულ „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 216-ით ქ. ქუთაისში **(დანართი 5).**

7. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №187 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს წინაშე საკითხი წარადგინა ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა. მან საბჭოს წარუდგინა დაწესებულების წერილი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის შინაარსი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. პირველ აპრილს, შპს საზოგადოებრივმა კოლეჯმა „კავკასიონმა“ ცენტრის დირექტორს მომართა წერილით, სადაც აღნიშნავდა, რომ კოლეჯი ქუთაისის ოცხელის ქუჩა №2-ში ახორციელებს „აღმზრდელის“ ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით შექმნილ „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, და ასეთი სახით ფიქსირდება შესაბამის გადაწყვეტილებაში. რადგანაც დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა თბილისში, ბაქრაძის ქუჩა 2-ში იგივე პროგრამის განხორციელების განაცხადი და ამ პროგრამის სახელწოდება იყო „სკოლამდელი აღზრდა“, დაწესებულება ითხოვდა მისი ორივე პროგრამა, რომელიც ფაქტობრივად ერთი და იმავე შინაარსისაა და განსხვავდება მხოლოდ რესურსებით, ორივე ლოკაციაზე „სკოლამდელი აღზრდის“ სახელწოდებებით ყოფილიყო დაფიქსირებული გადაწყვეტილებებში. აღნიშნულის თაობაზე დაწესებულებამ თვითონ შეცვალა პროგრამის სახელწოდება და შესაბამისი ცვლილების აქტი და პაკეტი გამოაგზავნა. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აღნიშნული შეისწავლა და სამსახურის დასკვნის მიხედვით, პროგრამის ახალი სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი, ვინაიდან ის ზუსტად იმეორებს პროგრამით განსაზღვრულ მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირებას, რომელიც ასე ჟღერს: „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში“, ამდენად პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიიჩნევს, რომ არ არსებობს მონიტორინგის განხორციელების საჭიროება და მიზანშეწონილია აღნიშნული პროგრამის სახელწოდების ცვლილების საკითხი განხილულ იქნას საბჭოს მიერ და ეს ცვლილება განხორციელდეს საბჭოს შესაბამის გადაწყვეტილებაში.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №187 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: ცვლილება განხორციელდეს შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №187 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 6).**

8. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს წინაშე საკითხი წარადგინა ალინა კუპრავამ და ტიტე ბოლქვაძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარემ ქალბატონმა ალინა კუპრავამ განმარტა, რომ დაწესებულებას შემოტანილი ჰქონდა განაცხადი აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „რკინიგზის ელექრომომარაგების მეურნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტები, ასევე დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია, პერსონალის პირადი საქმეები და რესურსების ფლობის დოკუმენტები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებას არ ჰქონდა რეკომენდაციები მიღებული. ასევე, მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში რეკომენდაციები არ გაცემულა და ხარვეზები არ დაფიქსირებულა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრული აქვს 30 სტუდენტით. დაწესებულება ითხოვს დამატებით 30 პროფესიული სტუდენტით ადგილების გაზრდას - სულ უნდა 60 პროფესიული სტუდენტის ადგილი. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა დაწესებულების შესაძლებლობები აღნიშნული პროგრამის განხორციელების მოცემული რაოდენობისათვის, მათ შორის A გარემო და B გარემო, ასევე ღია და დახურული ტიპის ლაბორატორიები, რაც ამ პროგრამის ფარგლებში ჰქონდა დაწესებულებას წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაესაუბრა პარტნიორი ორგანიზაციის „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენლებს. გასაუბრებისას დადასტურდა, რომ მოცემულ პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის ინიციატორი თავად დამსაქმებელი ორგანიზაცია იყო, რომელმაც დაწესებულებას მისწერა წერილი, ხოლო აღნიშნული წერილი წარმოდგენილია მტკიცებულების სახით, რომლის მიხედვით ვინაიდან საქართველოს რკინიგზაში ამოქმედდა კომპენსაციების პროექტი საპენსიო ასაკის რკინიგზელთა პენსიაზე გასვლის წახალისების მიზნით, ორგანიზაციას შეექმნება კადრების დეფიციტი, სწორედ ამიტომ ორგანიზაციამ ითხოვა ამ პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობის გაზრდა. დაწესებულება პროგრამას დუალურად ახორციელებს, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა ამასთან დაკავშირებული ხელშეკრულება და ამის მიხედვით სასწავლო გეგმა და შესაძლებლობები, თუ როგორ არის მოდულის სწავლის შედეგები განაწილებული და რამდენად შეძლებს დაწესებულება და პარტნიორი ორგანიზაცია გაზრდილი ოდენობით ნაკადების მართვას და ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის ამ მიმართულებით ხარვეზი არ დაუფიქსირებია. ექსპერტთა

ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას ერთ მიღებაზე 30 სტუდენტის მიღება აქვს განსაზღვრული და პროგრამისთვის გამოყოფილი რესურსები იძლება ამის საშუალებას, ხოლო ორ მიღებაზე, ანუ 60 სტუდენტის მიღებას გეგმავს. დაწესებულების განაცხადს დაეთანხმნენ ექსპერტებიც. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და სასწავლო გეგმაში მათი დატვირთვა შემოწმდა და გაზრდილი რაოდენობის პირობებში დაწესებულება არ გადააჭარბებს კვირაში 40 საათიან დატვირთვას. დაწესებულებას სულ 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 12 არის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი. დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტები, საიდანაც ჩანს ჩატარებული ტრენინგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენციები სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კუთხით. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას ავტორიზაცია უკვე მოპოვებული აქვს, ეს ადამიანები თავიდანვე ჩართული იყვნენ პროცესში, გასაუბრებითაც დადგინდა, რომ მათ ამ მიმართულებით გამოცდილება დაგროვებული აქვთ. პროგრამის ხელმძღვანელს პროფესიით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მის ფუნქცია-მოვალეობებს, რომელიც გულისხმობს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაში, ვერიფიკაციის პროცესში, ასევე პროგრამაზე კონტიგენტის დაგეგმვის პროცესში, მასწავლებლების შერჩევა-ჩანაცვლების პროცესში ჩართულობას. მისი მოვალეობაა ასევე პროგრამის განვითარების საჭიროების დადგენა. პროგრამის ხელმძღვანელი არის ბრძანებით დანიშნული და მასთან შესაბამისი ხელშეკრულებაა გაფორმებული. დაწესებულების ინფორმაციით, მასზე ხელფასის გაცემას საქართველოს რკინიგზა უზრუნველყოფს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებაში რესურსები გაციფრულებელია და გასაუბრებისას გაირკვა, რომ რესურსები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. რესურსები განთავსებულია ერთიან საკომუნიკაციო პლატფორმაზე, რადგან პროგრამის თეორიული ნაწილის სწავლება დისტანციურ რეჟიმში მიმდინარებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის რესურსებზე ხელმისაწვდომობას. რაც შეეხება სსსმ პირების წვდომას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, დაწესებულებას არ ჰყავს სსსმ პირი, თუმცა დაწესებულებას გააჩნია რეგულაცია, სადაც გაწერილია თუ როგორ აპირებენ რესურსების ადაპტირებას ან დამხმარე ტექნიკის გამოყენებას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, დაწესებულება ვაუჩერული დაფინანსებით იღებს სტუდენტებს, ასევე დაწესებულებას განათლების სამინისტროს პროგრამულ დაფინანსებასთან ერთად საქართველოს რკინიგზაც უზრუნველყოფს დაფინანსებით. დაწესებულებას დადგენილი აქვს რენტაბელობის ზღვარი, ფინანსური მდგრადობა დაცულია.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების რესურსი გაცილებით მეტის საშუალებას იძლევა და რესურსის სრულად ათვისებისგან დაწესებულება ჯერ შორსაა, როგორც მატერიალური ისე ადამიანურ რესურსის თვალსაზრისით. მან ასევე განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იყო პროგრამის შექმნაში, პროფესიულიგანათლების მასწავლებლების შერჩევაში. თვითონაც მოქმედი რკინიგზელია. დარგობრივი პროფესიული განათლების მასწავლებლები წამყვანი რკინიგზელები არიან. რადგან თვითონ რკინიგზა სთხოვს დაწესებულებას, რაც შეიძლება მეტი კადრის მომზადებას, ეს მეტყველებს, რომ რკინიგზაში დაწყებულია გაახალგაზრდავების პროცესი, რაც გაზრდის კადრებზე მოთხოვნას. ასევე, მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა დუალური მიდგომით ხორციელდება,დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით საკუთარ ბაზაზეც მოწყობილი აქვს გარეთა სივრცე, ელექტროობის ჯიხურები და აქვს შესაბამისი ხელსაწყოები, რაც პროფესიულმა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, დაწესებულებაშიც ისწავლონ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება კონტიგენტის დაგეგმვისას უმთავრეს კრიტერიუმად განიხილავს არა მარტო საქართველოს რკინიგზის მოთხოვნებს, ასევე ითვალისწინებს შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ მოთხოვნებსაც, ისევე როგორ

მეტროპოლიტენის და ჰაიდელბერგცემენტის მოთხოვნებსაც. ზოგადად, დაწესებულება ეყრდნობა შრომის ბაზარის მოთხოვნებს, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რაოდენობის განსაზღვრისას მაინც ძირითადი დასაყრდენი - საქართველოს რკინიგზის მოთხოვნაა. მოცემული პროგრამის შემთხვევაში, დაწესებულებას სურდა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება იგივე კვოტის ფარგლებში, თუმცა კვოტის გაზრდის მოთხოვნა საქართველოს რკინიგზისგან წამოვიდა. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, აღნიშნა, რომ დაწესებულება 50-60% იღებს პირებს, რომლებიც უკვე არიან რკინიგზაში დასაქმებულები წინარე განათლების გარეშე. მათ არ აქვთ თეორიული განათლება და პრაქტიკულ უნარებშიც მოიკოჭლებენ.. აღნიშნული პროგრამა იყო ძალიან მოთხოვნადი და ამ პროგრამაზე უკვე 5 მიღება ჰქონდათ, ამასთან თითო მიღებაზე 3-4 მომართვა იყო ისეთი, როდესაც პირს არ გააჩნდა სრული ზოგადი განათლება, რის გამოც მოცემულ პროგრამაზე ვერ ჩაირიცხნენ. გამომდინარე აქედან, დაწესებულება უმთავრესად მოემსახურება სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს.

.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს დანართით განსაზღვრულ „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 60-ით **(დანართი 7).**

9. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პრ ოგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელ შიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

საბჭოს წინაშე საკითხი წარადგინა ალინა კუპრავამ და ტიტე ბოლქვაძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარემ ქალბატონმა ალინა კუპრავამ განმარტა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 1 მარტის №179397 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის“ საშუალო პროფესიული პროგრამის შესწავლა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის პროგრამაზე მიმართვიანობის დროს არასრული ზოგადი განათლების მქონე (9 კლასდამთავრებულები) პირები ხშირად მიმართავდნენ დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის სურვილით. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამაზე დაშვების

წინაპირობა სრული ზოგადი განათლება იყო, ვერ ხდებოდა ამ პირების პროგრამაზე ჩარიცხვა. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ბიძგი, რომ დაწესებულებას აღნიშნულ, უკვე ავტორიზებულ, პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლების შედეგების ინტეგრირება განეხორციელებინა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, დირექტორის ბრძანებით და ცვლილებებიც დირექტორის ბრძანებით არის განხორციელებული. პროგრამა საკანონმდებლო მოთხოვნებს ეყრდნობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანება „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლების შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების შესახებ“. სასწავლო გეგმა სამ წელიწადზეა გაწერილი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას ინტეგრირებული პროგრამისათვის 2 A/C გარემო აქვს გამოყოფილი, „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ გაყოფილია და ერთი გარემო გამოყოფილია ფიზიკისა და გეოგრაფიის კომპონენტისთვის, ხოლო მეორე ქიმია-ბიოლოგიის კომპონენტისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა გარემოების დატვირთა, რადგან დაწესებულებას ამ პროგრამის გარდა კიდევ ორი ინტეგრირებული პროგრამა აქვს. მან განმარტა, რომ თითოეულ სასწავლო გეგმაში კვირეული დატვირთვა 5 საათიანია, ამიტომ ამ გარემოების გამტარუნარიანობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ არის, რაც განაპირობა რესურსების სწორად გადანაწილებამ. ინტეგრირებული მოდულებისთვის პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის 17, ხოლო თითო მოდულზე მინიმუმ 2-3 პროფესიული განათლების მასწავლებელია განსაზღვრული. რაც შეეხება პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციას, მათ გავლილი აქვთ განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ტრენინგები, ინტეგრირებული მოდულების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის ნაწილში. ვინაიდან დაწესებულება ახორციელებდა აღნიშნულ პროგრამებს, გასაუბრების ფარგლებშიც დადასტურდა, რომ პროფესიული მასწავლებლები ზრუნავენ იმაზე, რომ სასწავლო პროცესი საინტერესოდ წარიმართოს და გზადაგზა დაწესებულებას რეკომენდაციებსაც წარუდგენენ, რადგან მსგავსი პროგრამა პირველად 2020 წელს დაინერგა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი კომპეტენცია ავტორიზაციის სტანდარტებთან და დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. . ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა ასევე ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი და დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და აღნიშნული სასწავლო პროცესში გამოიყენება. რაც შეეხება სსსმ პირების წვდომას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, დაწესებულებას არ ჰყავს სსსმ პირი, თუმცა დაწესებულებას გააჩნია რეგულაცია, სადაც გაწერილია თუ როგორ აპირებენ რესურსების ადაპტირებას ან დამხმარე ტექნიკის გამოყენებას. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან ასევე დადგენილია პროგრამის ფინანსური მდგრადობაც. ექსპერტებმა შემოწმების შედეგების შედეგად სრულ შესაბამისობად შეაფასეს მოცემულ კომპონენტებთან მიმართებაში.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ რკინიგზაში სერტიფიცირებული და კვალიფიციური კადრების დეფიციტია და ამ მხრივ აქტიური მუშაობა მიმდინარეს, სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხელახლა დაარსება/რებრენდინგი ამ მიზანს ემსახურება.
საბჭოს წევრებმა დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვეს განემარტა, თუკი პროგრამაზე რკინიგზის მოქმედი თანამშრომლებიც ისწავლიდნენ, როგორ მოახერხებენ ისინი მუშაობის და სწავლის სრულფასოვნად შეთავსებას. აღნიშნულ საკითხზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა დუალურია, სასწავლო ცხრილი შედგება კვირაში 3 დღეზე გაანგარიშებით, 2 არის სამუშაო, ხოლო ერთი აუცილებლად შაბათი დღე, ხოლო იმ ორ სამუშაო დღეს რკინიგზა უშვებს კოლეჯში თანამშრომელს, ისე რომ არ უქვითავს ხელფასს.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 8).**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, 17:02 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯაფარიძე შორენა

დანართი 1

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	24	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8
2	საოფისე საქმე (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415	59	89	ქართული	24	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8
3	ღონისძიების ორგანიზება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0413	61	91	ქართული	12	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8
4	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	12	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

- აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური)

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ფოტოგრაფია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ფოტოგრაფიაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №68
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	47
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	77

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, დ. ბაქრაძის ქ. №6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	68
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	216
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

დანართი 6

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სკოლამდელი აღზრდა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში 0112	116	146	ქართული	54	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
2	საექთნო საქმე (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში 0913	180	210	ქართული	216	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
							90	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №6
3	ფარმაცია (სააფთიაქო) (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში 0916	123	153	ქართული	56	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
							60	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №6

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დანართი 7

პროგრამის სახელწოდება	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. №24
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	92
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122

დანართი 8

პროგრამის სახელწოდება	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. №24
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	149
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	92
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	179
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122